დადგენილება:**დ-47.47203511**
თარიღი:**16/12/2020**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N14

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენის წესისა და წარსადგენი ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და 88-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენის წესი“, დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

დამტკიცდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის წარსადგენი ანგარიშის ფორმა“, დანართი 2-ის შესაბამისად.

მუხლი 3.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშისთვის თანდასართავი „ანგარიშის ფორმა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციის / კერძო სამართლის იურიდიული პირის პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ“, დანართი 3-ის შესაბამისად.

მუხლი 4.

დამტკიცდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის წარსადგენი ანგარიშის ფორმა“, დანართი 4-ის შესაბამისად.

მუხლი 5.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი